ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 30 აგვისტოს
სხდომის** № 01-03/04 ოქმის **დანართი №4
***კოდიფიცირებული** (დამატება - რექტორის ბრძანება N01-09/15, 07.07.2023 წ.*

ავიცენა -ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური ომბუდსმენის დებულება

სარჩევი

მუხლი 1. რეგულირების სფერო 1
მუხლი 2. სტუდენტური ომბუდსმენი 1
მუხლი 3. სტუდენტური ომბუდსმენის ფუნქციები..... 1
მუხლი 4. სტუდენტური ომბუდსმენის დამოუკიდებლობის გარანტიები 2
მუხლი 5. სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის პრინციპები..... 2
მუხლი 6. სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობის დაკავების წესი 2
მუხლი 7. სტუდენტური ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადა..... 3
მუხლი 8. სტუდენტური ომბუდსმენის პირველი არჩევნების ჩატარება და დასკვნითი დებულებები..... 3

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება აღწერს შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „ავიცენა” ან „უნივერსიტეტი”) სტუდენტური ომბუდსმენის ინსტიტუტს, განსაზღვრავს სტუდენტური ომბუდსმენის მიერ თანამდებობის დაკავების წესს, ადგენს ომბუდსმენის უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებს და სტუდენტების კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების პროცედურებს.

1.2. დებულების მიზანია უნივერსიტეტში სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სტუდენტების მიერ არჩეული და სტუდენტის ინტერესების გამტარებელი ინსტიტუტის შემოღებით.

მუხლი 2. სტუდენტური ომბუდსმენი

2.1. სტუდენტური ომბუდსმენი არის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ არჩეული პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, თანამდებობის დაკავების ვადის განმავლობაში.

მუხლი 3. სტუდენტური ომბუდსმენის ფუნქციები

3.1. სტუდენტური ომბუდსმენი:

ა) იღებს სტუდენტებისა და სხვა პირების განცხადებებს უნივერსიტეტში სტუდენტის უფლების სავარაუდო დარღვევის ან შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით;

ბ) უწევს სტუდენტებს კონსულტაციებს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;

გ) უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს კონკრეტული დარღვევის/შეზღუდვის ფაქტზე ინფორმაციის/განმარტების მისაღებად;

დ) უფლებამოსილია გამოითხოვოს უნივერსიტეტში დაცული კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია საკითხის გადაჭრისათვის;

ე) უფლებამოსილია წარუდგინოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს რეკომენდაცია, კონკრეტული შეზღუდვის არსებობისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ;

ვ) ასრულებს მედიატორის ფუნქციას სტუდენტთა მონაწილეობით წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციაში;

ზ) მონაწილეობს სტუდენტის მიმართ განხორციელებულ დისციპლინურ წარმოებაში და უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების დაცვას;

თ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტუდენტთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის შესახებ და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ი) თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან (სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურთან, იურიდიულ სამსახურთან, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან და სხვა), სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ გაერთიანებებთან და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან;

კ) შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს სტუდენტების უფლებების რეალიზების თაობაზე და წარუდგენს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ლ) უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობისა და სტუდენტური ომბუდსმენისადმი მიმართვიანობის გათვალისწინებით, სტუდენტთა უფლებების დაცვისა და კანონიერი ინტერესების ეფექტური რეალიზების მიზნით, მიმართავს სტუდენტურ თვითმმართველობას საგანმანათლებლო პროგრამების (ან სასწავლო კურსების/ჯგუფების) მიხედვით სტუდენტური ომბუდსმენის წარმომადგენლების შერჩევისათვის. (დამატება - *რექტორის ბრძანება N01-09/15, 07.07.2023 წ.*

მუხლი 4. სტუდენტური ომბუდსმენის დამოუკიდებლობის გარანტიები

4.1. სტუდენტური ომბუდსმენი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მისი საქმიანობა მხარდაჭერილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის მხრიდან.

4.2. სტუდენტური ომბუდსმენი არ ექვემდებარება უნივერსიტეტის არცერთ სტრუქტურულ ერთეულს და არ არის ანგარიშვალდებული უნივერსიტეტის რომელიმე მართვის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ.

4.3. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია გაიწვიოს სტუდენტური ომბუდსმენი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მტკიცებულებებით დასტურდება მის მიერ ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების ბრალეული შეუსრულებლობა.

4.4. სტუდენტის ომბუდსმენის საქმიანობის ხელშეშლის შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია განიხილოს ხელშეშლის, როგორც უნივერსიტეტის დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის საკითხი და დაიწყოს მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება, სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შემთხვევაში.

მუხლი 5. სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის პრინციპები

5.1. სტუდენტური ომბუდსმენის საქმიანობის პრინციპებია:

ა) **მიუკერძოებლობა** - სტუდენტური ომბუდსმენი არ არის შეზღუდული რომელიმე მხარის - სტუდენტის ან უნივერსიტეტის - პოზიციით და ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სტუდენტის უფლებების დაცვის ინტერესით;

ბ) **ხელმისაწვდომობა** - სტუდენტური ომბუდსმენის კონსულტაცია, მხარდაჭერა და დახმარება ღიაა და თავისუფალია უნივერსიტეტის ნებისმიერი სტუდენტისთვის, ყოველგვარი საზღაურის გარეშე;

გ) **კონფიდენციალურობა** - სტუდენტური ომბუდსმენთან შესული ან მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია რჩება კონფედენციალურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სტუდენტის თანხმობა, ან კანონმდებლობა პირდაპირ მოითხოვს შესაბამისი ინფორმაციის ღიაობას.

მუხლი 6. სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობის დაკავების წესი

6.1. სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობის დაკავება ხდება არჩევნების შედეგად.

6.2. სტუდენტური ომბუდსმენის არჩევნები ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

6.3. სტუდენტური ომბუდსმენი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ აირჩევა ფარული კენჭისყრით, სტუდენტებში ჩატარებული პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. არჩევნებში მონაწილეობის ან/და კანდიდატურის წამოყენების უფლება (აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება) აქვს უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს.

6.4. უნივერსიტეტი ახორციელებს არჩევნების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რისთვისაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას არჩევნების შესახებ, უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან/სკოლასთან კონსულტაციების საფუძველზე განსაზღვრავს არჩევნების პერიოდს, რომლის დროს შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევნებზე გამოცხადების მაქსიმალური უზრუნველყოფა, გამოყოფს კამპუსში არჩევნების ჩატარების სივრცეს.

6.5. სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი დებულებით განსაზღვრული წესით უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის და დამკვირვებელთა კორპუსის ფორმირებას, ასევე ახორციელებს კანდიდატების რეგისტრაციას და მათი სამოქმედო გეგმების გამოქვეყნებას.

6.6. ხმის მიცემის პროცესის დასრულების და ხმების დათვლის შედეგად საარჩევნო კომისია განსაზღრავს არჩევნებში მეტი ხმის მქონე - გამარჯვებულ კანდიდატურას და არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს საინფორმაციო დაფაზე და წარუდგენს რექტორს, არჩევნების მასალებთან ერთად.

6.7. არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი იკავებს სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობას.

მუხლი 7. სტუდენტური ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადა

7.1. სტუდენტური ომბუდსმენის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 2 წელს.

7.2. ერთი და იგივე პირი სტუდენტური ომბუდსმენის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 8. სტუდენტური ომბუდსმენის პირველი არჩევნების ჩატარება და დასკვნითი დებულებები

8.1. სტუდენტური ომბუდსმენის პირველი არჩევნები უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პირველი არჩევნების დასრულებიდან 1 თვის ვადაში.

8.2. წინამდებარე დებულება მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ, უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად და ამოქმედდება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევისთანავე.

8.3. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ან დებულების ახალი რედაქციის დამტკიცება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.